# ხელშეკრულება№ს13-02.22
# სახელმწიფოშესყიდვებისშესახებ

ქ. თბილისი 24 თებერვალი 2022წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“ (შემდგომში -შემსყიდველი), მისი დირექტორის გოჩა მინდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** მისი დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული საქონელი-შემდგომში საქონელი, თანმდევი მომსახურებით, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 125.00 (ასოცდახუთი) ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით;
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში;
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ან მთლიანად, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საქონელი გადასცეს შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით.

4. საქონლის ხარისხი და ინსპექტირების პირობები

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულს ტანდარტებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება/შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დროულად არ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.
6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობებისგაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათამინიმალურდროშიიქნესდაძლეულიუუნარობახელშეკრულებითგათვალისწინებულივა ლდებულებებისმინიმალურიდაგვიანებითშესრულებისთვალსაზრისით. ამასთან, ისვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 მარტამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**
ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 406153111, მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ალიოშა ჯაფარიძის ქ. 15. ბანკი: ქ. თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა”, ბანკის კოდი: TRESGE22, ა/ნ GE24NB0330100200165022

დირექტორი

გოჩა მინდიაშვილი

TBILISI MUNICIPAL ASYLUM

Digitally signed by TBILISI MUNICIPAL ASYLUM
Date: 2022.02.24 17:19:10 +04'00'

_____

(ხელმოწერა) ბ.ა.

**მიმწოდებელი:**
სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“, ს/კ 204478948, მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. საბანკო რეკვიზიტები: სს„თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCB22GEა/ნ GE15TB1100000110467697

დირექტორი

ალექსანდრე ხვედელიძე

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2022.02.24 17:25:46 +04'00'

_____

(ხელმოწერა) ბ.ა.

დანართი 1 (ხელშეკრულება№ს13-02.22)

| № | საქონლის დასახელება და სპეციფიკაცია | CPV | განზ. | რაოდენობა | ერთ. ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით) | საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხუფის შუასადები | 34312000 | ცალი | 1 | 55.00 | 55.00 |
| 2 | ძრავის კარტერის ბოლტი | 34312000 | ცალი | 1 | 10.00 | 10.00 |
| 3 | კარტერის შაიბა | 34312000 | ცალი | 1 | 10.00 | 10.00 |
| 4 | მომსახურება ხუფის შუასადების შეცვლა | 50100000 | ცალი | 1 | 50.00 | 50.00 |
| | | | | | | **ჯამი: 125.00** |

**შემსყიდველი:** **მიმწოდებელი:**

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2022.02.24 17:26:09 +04'00'

გ. მინდიაშვილი ---------- ა. ხვედელიძე ----------